

## ავტობიოგრაფია

მე, გულქან ქურასბედიანი დავიბადე 1964 წლის 21 სექტემბერს, ლენტეხის რაიონში. 1981 წელს დავამთავრე ლენტეხის საშუალო სკოლა-ინტერნეტი. 1990 წელს წარჩინებით დავამთავრე თ.ს.უ ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავე წელს მუშაობა დავიწყე თ.ს.უ მესხეთის ფილიალში (დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მასწავლებლად. 1993 წელს ჩავაბარე ასპირანტურაში. 1995 წელს დავინიშნე ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 2002 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია და მომენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2002 წელს ამირჩიეს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტად. მაქვს პედაგოგიური მუშაობის 23 წლიანი გამოცდილება.

2004-2007 წლებში ვიყავი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, პედაგოგიკისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალ სერიის რედკოლეგიის წევრი. რამდენიმე მონოგრაფიის რეცენზენტი. გამოქვეყნებული მაქვს 15 სამეცნიერო ნაშრომი და ერთი მონოგრაფია. 2005 წლიდან 2013 წლამდე ვმუშაობდი სსიპ ახალქალაქის (ამჟამინდელ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯში ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. სხვადასხვა დროს ვიყავი, დამკვირვებელი, არასმთავრობო ორგანიზაციიდან კავშირი 21-ე საუკუნე. 2018 წელს ცესკოდან დანიშნული ვიყავი ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწედ.

2019 წლის ოქტომბერში გავიარე ტრენინგთა ტრენინგი ცესკოში. 2019 წლის დეკემბერში ჩავაბარე საქართველოს საარჩევნო მოხელის გამოცდა და ავიღე სერთიფიკატი.